



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### მეფეტვია

მეფეტვია (*Emberiza calandra*), ფრინველი ბელურასნაირთა რიგისა. ზოგი ზოოლოგი მ-ს მიაკუთვნებს *Miliaria*-ს, ზოგი კი - *Emberiza*-ის-გვარს. მისი სხეულის სიგრძეა 17–20 სმ, ფრთების შლილი - 26–32 სმ, მასა - 38–56 გ. აქვს შედარებით დიდი და მსხვილი თავი; ტანის ზედა ნაწილი, ფრთები, ბოლო მორუხო-მურაა, ქვედა მხარე-ღია. მთელ ტანზე გასდევს ხშირი მუქი ფერის გრძივი ზოლები. ნისკარტი უჩვეულოდ მასიურია, ამოზნექილი კეხითა და შესამჩნევი ნაპრალით ზედა და ქვედა ნაწილს შორის. არ ახასიათებს სქესობრივი დიმორფიზმი.

საქართველოში გვხვდება ყველგან. მცირერიცხოვანია. უპირატესო-ბას ანიჭებს გამომშრალ ღია ლანდშაფტებს, საძოვრებს, მინდვრებს.

შემოდგომით და ზამთარში იკვებება ბალახოვანი მცენარეების მსხვილი და უხეში თესლებით. ბუდობს მიწაზე. ჯამისებრ ბუდეს იკეთებს ღრმა ორმოში, რ-იც შენიღბულია ბალახებით. დებს 4–5 მსხვილ კვერცხს. ბუდეს აშენებს და კრუხობს დედალი. ინკუბაცია 12–13 დღე გრძელდება. 9–12 დღეში ბარტყები ბუდეს ტოვებენ. მ-ს სეზონზე გამრავლების ორი ციკლი ახასიათებს. გუნდებად მომთაბარეობა (ხშირად სხვა სახეობის თესლიჭამია ფრინველებთან ერთად) იწყება აგვისტო-სექტემბერში.

---